თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2223874			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე, 3354	01015010047 18001007618	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599902520 599717407		ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი		ქ. თბილისი, გულუას ქ.N6
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				info@des.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ქმედების განხორციელების დავალება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2023 წლის 23 იანვარს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ“ № 23/09/03-113 წერილით მიმართა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზოდიდან დეპარტამენტში დღემდე დაფიქსირებული საჩივრებისა და დეპარტამენტის მიერ საჩივრებზე რეაგირების პასუხად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით);

2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 4 ოქტომბრის 21/09/03-97 წერილით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში შესაძლო უკანონო საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;

3. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში, მოსახლეობის საჩივრების პასუხად და/ან თავად დეპარტამენტის ინიციატივით, სოფლის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ დღემდე განხორციელებული ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;

4. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 16 ნოემბრის 21/09/03-108 წერილით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში წიაღის კანონდარღვევით მოპოვებასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით.

სზაკ-ის 40.1 მუხლით განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს არ გადასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია; სააგენტოს ზემოაღნიშნული ქმედებით (საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა) პირდაპირ და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ამდენად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2023 წლის 23 იანვარს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ“ № 23/09/03-113 წერილით მიმართა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზოდიდან დეპარტამენტში დღემდე დაფიქსირებული საჩივრებისა და დეპარტამენტის მიერ საჩივრებზე რეაგირების პასუხად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით);

2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 4 ოქტომბრის 21/09/03-97 წერილით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში შესაძლო უკანონო საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;

3. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში, მოსახლეობის საჩივრების პასუხად და/ან თავად დეპარტამენტის ინიციატივით, სოფლის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ დღემდე განხორციელებული ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;

4. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 16 ნოემბრის 21/09/03-108 წერილით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში წიაღის კანონდარღვევით მოპოვებასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით.

მოპასუხეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივასათვის" დღემდე არ აქვს გადმოცემული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მტკიცებულება - დანართი #1. - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზოდიდან დეპარტამენტში დღემდე დაფიქსირებული საჩივრებისა და დეპარტამენტის მიერ საჩივრებზე რეაგირების პასუხად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით);
2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 4 ოქტომბრის 21/09/03-97 წერილით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში შესაძლო უკანონო საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;
3. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში, მოსახლეობის საჩივრების პასუხად და/ან თავად დეპარტამენტის ინიციატივით, სოფლის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ დღემდე განხორციელებული ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;
4. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 16 ნოემბრის 21/09/03-108 წერილით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში წიაღის კანონდარღვევით მოპოვებასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება (იხ. სარჩელი).

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გულუას ქ.6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქმედების განხორციელება) და შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ შემოწმდეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის კანონიერება.

2.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

აქედან გამომდინარე, აღნიშნული სადავო გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ემყარება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და მოსარჩელის მიზანია დაევალოს მოპასუხეს - 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

2.3. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მოსარჩელეს უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მონიტორინგის ფუნქცია.

2.4.საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია:

2.4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

2.4.2. საქართველოს კონსტიტუციის 17.2 მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

2.4.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

2.4.4. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეოთხე მუხლების მოთხოვნა, როდესაც უარი უთხრა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემაზე, რომელიც კონვენციის მეორე მუხლის თანახმად არის „გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია“.

2.4.5. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" წესდების თანახმად, ორგანიზაციის მისიაა - ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა.

- ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

2.4.6. საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) 28-ე მუხლი. ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას, თუ ის არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს,

სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალეობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი, თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონშეუსაბამობას.

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოპასუხის საქმიანობის სფეროს და ამოცანების, ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარი მოსარჩელეს, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მონიტორინგის ფუნქცია.

ამ მხრივ, სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას (TAZC v. Hungary), სადაც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ ფუნქციებში ჩარევას წარმოადგენს.

2.4.7. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა.

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს - საჯარო ინფორმაციას, აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.5. სასკ-ის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლი.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☒	

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☒	მტკიცებულება:
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/09/03-113 წერილი - 1 ფურცელი;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან- 2 ფურცელი;
3. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
4. სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 6 ფურცელი.

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	22.02.2022
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.